

ნიანგი

№ 22. 1948 წ.
ბამოცემის წელი XXV
ფასი 2 მან.

თბილისი
ბამოცეველოზა
„კოშენსტი“

თავი გაიგართდა

- კაცო! ტყუილად ხარ ტყის მეგობარი? რატომ სჭრი შავ ხეს?
- ზაფხულში მე ვეზმარებოდი და თუ მეგობრები ვართ ამ ზამთარში ეგ დამეზმაროს!

ტყის მეგობარი
30/11
ს. ცაფი
№ 262



როცა ნამძინარევი ბოღავს

გაერთიანებული ერების ასამბლეის პირველ კომიტეტში სიტყვა წარმოხტევა ამჟამად დიპლომატის ფრაკში გამოწყობილმა უოფლიმა შიტლერელმა გენერალმა ოსბორნმა, რომელმაც მოიყვანა რა „ნიუ-იორკ ტაიმსში“ მოთავსებული პროგნოსტიკული ნაბოღვარი, გაილაშქრა საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკის წინააღმდეგ.

ნახ. გ. ლომიძისა



— ჯენტლმენებო, მე გამოვარკვიე, რომ არსებობს კომუნისტური მანიფესტი, ისიც გავიგე, რომ კომუნისტებს პროგრამა ჰქონიათ, მაშასადამე, დამტკიცებულად მიმაჩნია ატომური ბომბის წარმოების გფართოების აუცილებლობა.

თათბირი სიბნელეში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომების პროცესში იმართება ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა დიპლომატების თათბირები, რომლებზედაც ომის გამოჩადებულთა კარნახით, იმუშავენ მშვიდობიანობის პოლიტიკის საწინააღმდეგო დებულებებს.

რადიომიმოსილშიდან

პარიზის ერთ სასახლეში, მე ერთ კრებულს გადგეკარე: დიდ მაგიდას უსხდნენ ხენვეით და კამათი ჰქონდათ ცხარე. თვით დარბაზში ელექტრონი ჩამქრალიყო, ბნელი ფლობდა და მიტომ ვერ გავარკვიე, ვინ იყო და რაზე ბეობდა. მაგრამ ის, ვინც უფროსს ჰგავდა, თავში იჯდა, როგორც მორგვი, პროექტებში ცხვირსა რგავდა და ამბობდა, სკამზე ბორგვით: — მისტერ მარშალ! ხშირად მითქვამს, და კვლავ მთქმელი ვარ ამისა: მე უინსტონს, გადამტანელს ამ მშვიდობის ვარამისა,

მომინება აღარ მყოფნის, ომი მწყურის, ომი მშიან,— რას აპირებ? ხომ ხედავ, რომ დღეს მსოფლიო საფრთხეშია! — რა საფრთხეში, მისტერ ნერჩილ, ეგვი რაში გეპარება? ბევრზე ბევრი სახელმწიფო ჩემი გეგმის მსხვერპლი ხდება! — მერე მაკ მსხვერპლს, აბა მითხარ, რაღა თავში ვიხლი, როცა საბჭოეთმა სამშვიდობო საფრთხე ცხვირწინ მოგვიცოცა? ვერა ხედავ—სერ ვიშინსკიმ როგორ ცხვირი გიგვანაყა: ვეითხრა: „ატომს ნუ ატყვევთო ხალხთა ქლეტის იარაღად!“

თანაც ყველა იარაღის შემცირებას ითხოვს, ძალობს!— გამოდის, რომ ომი უნდა მოისპოს და აიკრძალოს! გავიხილა ასე მავნე პროპაგანდა განუსჯელი? მშვიდობას და ხავს მოათხოვს და თან რჩება დაუსჯელი! მაშ ამისთვის გვიღვაწნია?— ყურს ნუ უგდებთ გეთაყვანეთ, და მსოფლიო, როგორც დავთქვით, კვლავ ომის გზით წაიყვანეთ! თვითონ მე, რაც გამეწყობა, თვით ღმერთია ამის მოწყვე, ვცდილობ ჯაჭვით თან ვატარო სერ ბევინი, ჩემი მოძმე, თქვენ კი...

მაგრამ მაგიდაზე მუშტი დაჰკრა რიხვის ტონით, იმან, ვისაც „მარშალობით“ მიმართავდა უინსტონი; მუშტი დაჰკრა და დატუქსვით საყვედური შეუბრუნა: — გამოდის, რომ ახალ ომზე ამერიკა არა ზრუნავს? სკლებით მისტერ!—ბრიტანეთი ამ საქმეში მართო არი? მაშრიყ-მალრიბს მან ჩვენდენი ბაზა შექმნა საომარი? ირან, თურქეთ, საბერძნეთის მოსყიდვებზე ვინ იზრუნა? გერმანიის ჩვენკერძ ხონებს ფაშიზმი ვინ დაუბრუნა? ჰკითხე, განა ჩვენ არ ვცდილობთ ახალ ომის გაჩაღებას და ამისთვის არ გავწვრთვებით ჩვენი ყმებიც ყაჩაღებად? —„დიახ, დიან, მართალს ბრძანებს!“ აწრიბინდნენ სხვებიც ტკბილად და მეც ამ დროს, კარის გვერდით გადავწიე შუქის ლილას. გადავწიე შუქი გაჩნდა და რა მოხდა, იცით, მაშინ? ჩოჩქოლი და ღრიანცელი ატყდა უცებ იმ დარბაზში: აკრუსუნდნენ, აიშალნენ, დაიშალნენ და პირწმინდად საითთაოდ გაიპარნენ, სინათლისა შეეშინდათ!

უარსადანი

დოლაკების საფულოვლოში

„კულტურული“ ატაშემბტი

ბრიტანეთის კოლონიის ტანგანაიკის გუბერნატორი ლემბი იშვიათ გულმოდგინებასა და გონებაშახვილობას იჩენს ატრიკელ მკვიდრთა ცხოვრების გაუმჯობესებაში. ტანგანაიკის მკვიდრთათვის „ცივილიზებული“ ბრიტანელებმა დღემდე შემოინახეს ისეთი „მუშანური“ სახეული, როგორიც გაწყობლვაა. გუბერნატორი ლემბი წკებლით დასჯას აუცილებლად სოვლის ტანგანაიკელებსათვის. მისი აზრით, ტანგანაიკელთა ცხოვრების დონე ამდენად დაბალია, რომ პატარობა მათთვის სასჯელსაც კი არ წარმოადგენს. რაკი ტანგანაიკელები უუფლებო თავისუფლებასა და სიმშვიდის პატარობას ამჯობინებენ, ინგლისელ გუბერნატორს მათ „გასანათლებლად“ წკებლის მეთოდი და დარჩენია!

განგსტერები იპარნიის ბრძალში

იამონელები თანდათან ითვისებენ ცხოვრების ამერიკულ წესს. იამონური ბრძალს, რა თქმა უნდა, სხვაზე ადრე ითვისებენ ამერიკულ წინგვეულებებს. გაზეთები ეტანებიან პორნოგრაფიას, იგონებენ ფულის გამოძალვისა და მოტყუების ათხგვარ საშუალებებს. ქალაქ ნიგატის გაზეთმა დასაბეჭდად ააწყო წერილი, რომელიც ერთ-ერთი ქმარვეილიანი ქალის ინტიმურ ცხოვრებას ეხებოდა. გაზეთის მფლობელებმა წერილის ანაბეჭდი უჩვენეს ამ ქალს და დაემუქრენ, რომ წერილი დაბეჭდებოდა, თუ იგი არ გადაიხდიდა განსაზღვრულ თანხას. თაღლითობის მსხვერპლმა ქალმა გაზეთის მფლობელთ ოცი ათასი იენი გადაუხადა და სკანდალი თავიდან აიცილა. იამონის მართო 28 პრეფექტურაში ასეთ საქმეებზე საგანგებოდ 528 გაზეთი „მუშაობს“.

ბავშვობიდანვე მასწავლიდნენ წინდახედულულებას. და ახლა როცა მალაზიაში შევდივარ, ზაფხულში საზამთრო საქონელს ვიძენ, ზამთარში კი — საზაფხულოს. (დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც ასე იქცევით, მაგრამ ეს თქვენი წინდახედულების მიზეზი კი არ ვახლავთ, არამედ სავაჭრო ორგანიზაციების მიერ საქონლის განაწილების შედეგი).

სწორედ ამის მიზეზი იყო, რომ საზამთრო პალტოს მატერია ზაფხულში შევიძინე და ვინაიდან ოთხი-კუთხივ კეთილი ზმები დადიოდა, სამკერვალო არტელებმა მომსახურებაზე ორდერები გააუქმესო. გეზი პირდაპირ მკერავთა არტელისაკენ ავიღე.

—რიგში ჩადგომა მოგიწევთ. — მითხრა არტელის თერძმა და თავისი მოუცლელი რომ დაემტკიცებინა, საყვედურით დაამატა, — პირდაპირ საკვირველია, ყველას ამ ზაფხულს მოუნდა პალტოს შეკერვა, ნუთუ აქამდე უპალტოდ დადიოდნენ?!

ზამთრის სიშორემ იმედებით ამავსო და მოსაყვედურე თერძს გაბედულად ვკითხე:

—რა ღირს თქვენთან პალტოს შეკერვა?

—თქვენ სახელმწიფო ფასი გაინტერესებთ?

—რასაკვირველია.

—სამას ოცი მანეთი.

მეიაფა. ზომა გახარებულმა ავალბინე და თერძის დაპირებას: „ჩასაზომად ერთი თვის შემდეგ შემოიარეთო“, კვლავ იმედით შევხვდი.

სულ თხუთმეტი დღით მომატყუეს. ჩემი პალტო ჩასაზომად თვენახევრის შემდეგ ჰქონდათ და ჩემი ტრაგედიაც სწორედ იმ დღიდან დაიწყო:

—ხარა-ხურა არ მოგიტანიათ? — მკითხა თერძმა.

—რა, ხარა-ხურა?

—სარჩული, ხოლსტი, ბამბა, ძაფი, ღილები...

—ეგენი მე უნდა მოგიტანო?

—აბა, ჩვენ სადა გვაქვს... რომ მოგვცა, მაგაზე გაწყვინებდით?

შევუღიქე ხარა-ხურის ძებნას. პირველად „ხოლსტიდან“ დავიწყე. თერძის განმარტებით ვიცოდი, რომ ეს რაღაც ძუადატანებული ტილო იყო. დავდიოდი მალაზიაში და ვათვალიერებდი მსგავს რამეს. ვერ ვიშოვნე. ბოლოს სხვა არტელის თერძებთან ვიკითხე, სად ვიშოვნი მეთქი. ერთმა საბურთალოზე გამგზავნა, მეორემ შაითან-ბაზრისკენ მიმითითა და მათს ხუმრობას მხოლოდ მაშინ მივხვდი, როცა აფთიაქისკენ მიმასწავლეს.

ხარა-ხურის ძებნა რომ მომწყინდა, ჩემი პალტოს შემკერავს მივადექი და ვკითხე:

—არ შეიძლება თქვენ იშოვნოთ ის რაღაც ხარა-ხურა?

—სად მაქვს ძამია, მაგის დრო, მაგების ზოდებნამდე ორ პალტოს შევკერავ.

თერძმა ზედმეტად დაიფასა თავი. მაგრამ მდგომარეობამ მაინც მაიძულა მეთქვა:

—რაც ეღირება მოგართმევთ, გგონიათ ტყუილად გაგსჯით?

მაშინ შან ზეპირად ჩაყარა ხარა-ხურის ფასი, შუბლზე თითი მიიღო, კიდევ რაღაც იანარიშა ჩუმად და მეხივით მესროლა:

—ოთხასი მანეთი დაგიჯდებათ!
დავთანხმდი. ფული თან არ მქონდა, მესამე დღეს მიუტანე და სიხარულით ლამის ცას ვეწიე, როცა მითხრეს, რომ ჩემი პალტო ორი დღის შემდეგ მზად იქნებოდა.

სამი თვის შემდეგ, ზუსტად ექვს ნოემბერს, სალამოს შვიდ საათზე ჩამაცვეს ჩემი ნაწვანდადი და მითხრეს:

—შინაური კაცი ხარ, თუ რამე დაგტოვდეს, მოდი, არ დაგზარდებით, რიგში არ ჩაგაყენებთ.

ახლა თბილად ვარ, ღრაის პალტოში გამოწყობილი დავსვირნობ და ჩემთვის ვფიქრობ:

—სასადილო თუ ვალდებულია მენიუში წიწმბის ფასიც კი ეწეროს, ნუთუ სამკერვალო არტელებს არ შეუძლიათ სახელოსნოებში თვალნათლივ გამოაკრან შეკერვისა და „ხარა-ხურის“ ფასი?

გ. ივანიშვილი

უკვე ჩვეულებრივი შემთხვევა უმც-სვკივზე

ამერიკაში ქირურგიული ოპერაციების საპრობისათვის გახშირდა თვალების გაყიდვის შემთხვევები. ბევრი უმუშევარი ამერიკელი იძულებულია გაყიდოს თავისი საღი თვალები, რომლებსაც მხედველობადაკარგული მდიდრები იძენენ, რათა ოპერაციის წესით ჩაისვან ისინი.

ნახ. გ. ლომიძისა




— ვერ მოერიდე ავტოს? თვალები სადა გაქვს?
— თვალები, გუშინ მისტერ პერკინს მივყიდე.

„ვილაშქროთ“!

ნახ. ღონისა

მეგობრული შარჟი



გამსახურდიამ ცხენდაცხენ რუსთავლის ქუჩა გასტორა,
შემოხვდა, არ მოეწონა შავიქვის ტრესტის კანტორა.
უშალეს, არ დაიშალა, თუმცა დედ-მამა აფიცეს,
მწერალი ხმაღში გამოჰყვა კანტორის გამგე ჩაფიცეს.
ამ ლაშქრობაზე ასე სთქვებს ლაშქრობის მონაწილეთა:
„დიდსა არ ერჩის, ხელად აქვს ზოცვა ნადირთა მცირეთა!“

საბარგო სადგურში

ნახ. თ. მიქაძისა



— ერთი ხაათია, რაც მატარებელი ჩამოვიდა, ამდენი ყუთი ასე უცბათ როგორ ამოაცარიელეს?
— მსხალია, წლის მოხავალია, ხულ რაღაც ერთ თვესა ხდლებს, აი, ვაშლი რომ იყოს და ვაზაფხულამდე გაძლებს შექდლოს, მაშინ ნელ-ნელა ამოცლიდნენ.

ახალი ანდაზები

1. უფროსს ეძინებოდა და პლიქუნელი ევინთავდაო.
2. ბალი წვერში გამწარდება, შაქარი კი — სასამართლოშიო.
3. თავმჯდომარის სორბალი წისქვილშიც მოიმატებსო.
4. სკოლაში აცივდა და ფისკულტურის საათებმა მოიმატაო.
5. მონტიორს თუ თვალები არ გაუბრწყინდა, ორი ხრამჭესიც ვერ გაგანათებსო.

შეკრიბა 2028

აკი ვკამი

ალბათ სათაურიდანვე გაგახსენდათ საქორწილო სუფრაზე, პატარძლის გვერდით გამოქიმული მოუხერხებელი და მოუხეშავი სიძე. მაყრიონის გუგუნი ჭერს აზანზარებს, დაირა გახურებულია და დარბაზში განუწყვეტლად უვლიან წრეს ერთიმეორეზე ლამაზი და მოხდენილი წყვილები.

ყველა ცდილობს თავის გამოჩენას: ზოგი სმით, ზოგი სიმღერით, ზოგი ცეკვითა და ზოგიც მოსწრებული სიტყვით. მხოლოდ სიძე ზის თავჩალუნული, არც იცინის, არც მღერის, არც პატარძალს იწვევს საცეკვაოდ.

წინ ნაირ-ნაირი სასმელ-საქმელი უწყვია, იქით-აქეთ ხარბი თვალთ იყურება და თავწახრილი ნთქავეს შემწვარ-მოხარშულს.

სუფრაზე მსხდომთ აწუხებს სიძის გულგრილობა ლხინისა და დროსტარებისადმი.

— სიძევ, გამხიარულდი, რად მოგიწყენია!

— გამხიარულდი, სიძე ბატონო!

ეხვეწებიან სიძეს ყოველ მხრიდან.

სიძე ჭამა-სმას უმატებს, წამით დაეღაფე სახეს ასწევს და კეთილის მსურველებს გამძღარი კაცის კმაყოფილი ღიმილით ეუბნება:

— აკი ვკამ!

დავივიწყეთ მამაბაბური სუფრა და ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ჩვენი ზოგიერთი ქალაქის კომუნალური მეურნეობა.

ქალაქში გახურებული მუშაობაა: აგერ ახალი ქარხანა შენდება, აგერ ახალი სავაჭრო მაღაზია და სასადილო იხსნება, ქუჩებში ქვითა და აგურით დატვირთული მანქანები მიჰქრიან.

მხოლოდ ქალაქის კომუნალური მეურნეობის გამგის ოთახშია არაჩვეულებრივი სიწყინარე. კაბინეტში კომგანის გამგე ზის, „თავის ხალხთან“ ხმადაბლა ჩურჩულებს და ქალაქის ხარჯთაღრიცხვას ჩაჰკირკიტებს.

გამგეც მაძღარია, „მისი ხალხიც“ კმაყოფილი, მხოლოდ ქალაქის კომუნალურ მეურნეობას არ ეტყობა დიდი სიხარული.

— გაიანძრე ხელი, ააშენე რამე, დააჩნიე ქალაქს შენი მუშაობის კვალი!

ეტყვის საყვედურს გვიან ღამით შინ დაბრუნებულ კომგანის გამგეს ერთგული, მაგრამ წინდახედული ცოლი.

— აკი ვკამ!

მიუგებს ქმარი და ღვინომორეული ლოგინში გაიჭიმება.

ბალი

საბჭოთა სპორტსმენი ქალის ნინო დუმბაძის მიერ ბადროს 'ტყორცნაში დამყარებული რეკორდი 11 მეტრითა და 33 სანტიმეტრით' აღემატება 1948 წელში ლონდონის ოლიმპიადაზე გამარჯვებული ქალის შედეგებს.

ნახ. გ. ვალკისა



— როგორაა საქმე? ჩვენმა დუმბაძემ შორს გასტყორცნა ბადრო?
— ძალიან შორს! ლონდონს საგრძნობლად გადააცილა.

ნახ. კ. ელისევისა



— ამბობენ, თქვენთან, საფრანგეთში, იაფად იყიდებიან მემარჯვენე სოციალისტებიო. მართალია?
— რამდენი გინდოდათ შეგესყიდნათ?
— მე მინდოდა მთელი პარტიის შესყიდვა.

უცხოური იუმორი

მტკიცე კავშირის შეკვრა
ანუ



ევროპის შეერთებული შტატები
(„დიკობრაზი“. პრაგა.)

თავისუფლების ძეგლის
ქვარხსლბეკთან



— წინანდელი ძეგლი სადღაა?
— ანტიამერიკული მოქმედების გამომრკვევ კომისიაში გამოუძახეს დასაკითხავად.
(„შპილნი“ ვარშავა.)

ლაზარე ქეზაშიძეს თაის ბალის მოსავალი — ვაშლი და მსხალი ხშირად მიჰქონდა კიევისა და ხარკოვში გასაყიდად. აი წელსაც წავიდა ლაზარე ხარკოვში, ხილი გაჰყიდა, ოჯახისთვის საჭირო ტანსაცმელი და ნივთები იყიდა, დანარჩენი ფული ჯიბეში ჩაიღო და არხენინად გამოემგზავრა თბილისისაკენ. მოდის სახლისკენ მზიარულად, არაფრის დარდი არა აქვს, აგერ ორი თვეა სახლში არა ყოფილა, მივა, ყველას საჩუქრებს მიუტანს, გააზარებს, ასიამოვნებს.

მატარებელი თბილისის უახლოვდება. აგერ გარდაბანიც. აქ მატარებელს ხალხი მიემბა, ის ვაგონი, რომელშიც ლაზარე იყო, მთლიანად აივსო. ლაზარეს ერთი ახალგაზრდა ჩამოუჯდა გვერდით და როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ლაზარემ ლაპარაკი ჩამოუგდო, ჰკითხა რა ამბავია თბილისში, ორი თვეა იქ არა ვყოფილვარ და არაფერო ვიციო. ტკბილი ლაპარაკით ჩამოვიდნენ თბილისში. მგზავრმა ლაზარეს ბარგის გადმოტანაშიც უშველა და მერე უეცრად გაჰქრა.

ლაზარეს ქართლისაკენ მიმავალი მატარებლისათვის კარგა ხანს უხდებოდა ცდა, ბარგი შესანახად მიიბარა და ბაზრისაკენ გაეშურა. გაივლის, ერთ კიჭა არაყს გადაჰკრავს, ცოტას დანაყრდნობს და მატარებლის წასვლის დროც მოვა. იყიდა პური, ჩაიყო ხელი ჯიბეში და აღარც ფული აღმოაჩნდა და აღარც პასპორტი. შემოიკრა თავში ხელი, მაგრამ რას იზამდა, აშკარა იყო: ან შიგ მატარებელში, ან მატარებლიდან ჩამოსვლის დროს მისმა მოსაუბრემ ამოაცალა.

ბევრი ივაგლახა ლაზარემ, მაგრამ რას იპოვიდა. გადასწყვიტა თბილისში დარჩენილიყო, მილიციაშიც გამოეცხადებინა, მიმდგარიყო-მომდგარიყო ნაცნობ-ნათესავებში, იქნება რამე ეშველნათ და თვითონაც ხომ დღემუდამ ივლიდა ქუჩებში და ერთხელაც იქნებოდა შეხვდებოდა იმ ჯიბგირს და იცნობდა.

გახარებული ჯიბგირი კი გაშორდა თუ არა ლაზარეს, ჩქარი ნაბიჯით გაექანა თავი-

სი ამხანაგებისაკენ, რომ საჩქაროდ მიმალულიყო. იგი იმდენად გახარებული და აღფრთოვანებული იყო, რომ ქუჩაში მომავალი მძიმე საბარგო მანქანა ვერ შეამჩნია, დაეჯახა, აგტომ ქვეშ მოიგდო და თავი ისე გაუქვეყნა, რომ სახე სრულიად აღარ ემჩნეოდა. მილიციამ საჩქაროდ გააგზავნა გვამი, სადაც ჯერ არს და რადგან ჯიბეში ლაზარეს პასპორტი და ფული აღმოაჩნდა, საჩქაროდ შეატყობინეს ლაზარეს სოფელში. დამწუხრებელი ნათესავები ჩამოვიდნენ, დაუდეს ავტოზე ჯიბგირის გვამი, მეორე დღესვე მიწას მიიბარეს და შესაფერი დაკრძალვა მოაწყეს, როგორც სოფლად არის მიღებული.

ლაზარე კი ათი დღის უწყალო ყიალის შემდეგ რომ ვერაფერს გახდა თბილისში, ადგა და გულდაწყვეტილი საღამოს მატარებლით გაემგზავრა თავის სოფლისაკენ. ვახშობა გადასული იყო, როცა სახლში მივიდა და კარები დააკაკუნა.

— ვინა ხარ?
— მე ვარ, — მიუგო დამძარებულმა ლაზარემ.

— ვინ შენა ხარ, ამ შუალამისას რა გინდა?

— მე ვარ... ლაზარე ვარ, გამიღეთ კარი!

მთელი ოჯახი აფორიაქდა. იფიქრეს — ვილაც მოხეტიალე ქურდი იქნება, ლაზარეს სახელი სცოდნია, მისი დაღუპვის ამბავი კი არ გაუგონია და ცდილობს მოტყუებით კარი გაგვღებინოს და გაგვძარცოსო.

კარებზე კვლავ კაკუნნი მოისმა. ლაზარეს „ქვერეთით“ გამბედაობა მოიკრიფა და გამოსძახა:

დაიკარგე ვილაც თხერი ხარ, თორემ ამ ცულს ხომ ხედავ, ისე დაგცხებ, რომ სული გაგაფრთხობინო! დაგვიბრიყვე უკაცო ოჯახი?

ლაზარემ ხან სახელით მიმართა ცოლს, ხან რა უთხრა და ხან რა, მაგრამ მგლოვია-რე ცოლი კარს არ უღებდა. გულმოსულმა ლაზარემ წიხლი ჰკრა და კარები შეაღო. ოჯახს თავზარი დაეცა. ატყდა წივილ-კივილი:

გვიშველეთ, გვიშველეთ-ე-თ, ლაზარე საფლავიდან ამდგარა, — გაჰკიოდა ეზოში გამოვარდნილი „ქვერეთი“. „გარდაცვლილის“ მოხუცი დედა კუთხეში მიიყუჟა და ლოცვების ჩიფჩიფი დაიწყო. ბავშვები თანჯრებიდან გადახტნენ და მათაც კივილი მორთეს:

— მამა, მამა ამდგარა, გვიშველეთ!
შეიყარა უბანი. ყველას შიშსა ჰგვრიდა „საფლავიდან ამდგარ“ ლაზარეს დანახვა ჩოქოლი და წიოკობა გათენებამდე არ შეწყვეტილა. მხოლოდ მეორე დღისას გამოირკვა ნამდვილი ამბავი და ლაზარეს ახირებულ თავგადასავალი მთელი სოფლის სალაპარაკოდ გადაიქცა.

ზ. ელილი

მეუბიკიანდა

ნახ. ი. შაისურაძისა



ერთხელ...

სვიფის თხოვნა

ერთხელ ირანდიის მეფის ნაცვლის მეუღლემ ალტაცებით უთხრა გამოჩენილ მწერადს ჯონათან სვიფტს:

- რა მშვენიერი ჰაერია ირანდიაში.
- სვიფტი მუხლებზე დაეცა დედოფლის წინ და შეეხვეწა:
- ღვთის გულისათვის, ხმამაღლა ნუ იტყვიოთ მაგას, თორემ ინგლისელები გაიგონებენ და ჩვენებურ ჰაერსაც გადასახდს დაადებენ.

ბასიამთი უნიუზვა

ერთხელ დომონოსოვი შეხვდა პოეტ ტრედიაკოვსკის, რომელსაც ჯიბიდან მოუჩანდა ხელნაწერების მთელი კონა.

— კარგია, რომ ყველანი გიცნობენ, — უთხრა ღიმილით დომონოსოვმა, — თორემ აქამდე ამოგაცდიდნენ ჯიბიდან მაგ ხელნაწერებს.

- როგორ, ბილეთი შენთვის გინდა?
- არა, მგზავრისათვის.
- გიშველა ღმერთმა, მეგონა ორ შაურს ვკარგავდი.

„გყუილარ უსაყვერუკას“

ნახ. ვ. მესხისა

ფრანგულ სკოლაში

ნახ. ნ. მალაზოვიჩისი
ნიკოლოზი



— ცყუილად მისაყვედურებს, ჩემო წითელაგ, მოსავლის აღებაში თავს არ იწუხებსო. შენ ხარ ჩემი მოწმე, ვიწუხებ თუ არა თავს.



— უორუ, რამდენია ორჯერ ორი?
— ოთხი დოლარი, ბატონო მასწავლებელო.

დასაბუნარ პირისა...

სტალინის ხასტუმრო უყურადღებოდა. დირექციას მსიც კი ვერ მოუგვარებია, რომ ნომრები წულითა და პირისაბანით მოამარაგოს.

სტალინის ოცი დღით მიმავლინეს, ჩამოველ, ჩემთან თყო ვახტანგიც, კარბები და სამოელ. მივაშურეთ სასტუმროს, სულ ლუქები ავიღეთ, ჭირა-გადასახადი სულ წინდაწინ გავიღეთ. მაგრამ კეთილმოწყობის მალე ვიგრძენ „სიმართლე“, მთვარის შუქზე ძლივს ვნახეთ ელექტრონის სინათლე. როცა მთვარე ჩავიდა მოვიწველეთ სანთელი, აივანზე ქარისგან დადგა კორიანტელი, ბირის ბანა მოგვინდა, გადავიბრეთ საბანი, ვეძებეთ და ვერ ვპოვეთ ვერსად პირისაბანი, თუნდ უბრალო, თუნდუქის, მცირე არა დიდია. რკინეულის ბაზარში ოთხ თუმნად რომ ჰყიდიან. ვიტრიალეთ ამოად, გული ვერ მოვასვენეთ და სახის მოსაწმენდად ცხვირსახოცი ვასუფლეთ. ხუთ დღეს გავძელ ამ ყოფით, დღეს შაბათი ღამდებო, ვზივარ მატარებელში და გული მიამდებო. უკან მოჩება ველეში, ყვავილები ყირმბო, და თბილისში მივდივარ... დასაბუნად პირისა.

მ-ზა

გრძელ გალდაზა—წყალგუბოდან

1.

განთქმულია წყალტუბოში „კურვატობის“ მალაზია, ნოტრები ხომ კარგები გვყავს, მოლარე სულ ღამაზია... ვთქვათ, გამყიდველს რამე ჰკითხეთ, ის გაასუხობთ (და ოფლს იწმენდს): — საქონელი ყველასთვის გვაქვს, მაგრამ ყველას ხომ ვერ მივცემთ.(!) შინაურებს რაღა მივცეთ, თუ რაც მოგწონთ თქვენ ის გარგოთ? მიხეხად ხოპ ისიც კმარა, რომ ვერ ვიცნობთ, ჩემო კარგო!..

2.

აშენებდნენ, ოფლსა ჰღვრიდნენ, საქმის ბოლო მაინც არ სჩანს, ამის შემდეგ მის მშენებლებს თუ სათქმელი კიდევ დარჩათ, ბარემ გვითხრან, თორემ ახლაც ჩვენ ამაზე მოგვდის ჯავრი: თეატრია ეს საწყალი, თუ სურამის ციხე არი?

3.

„კურვატობის“ რესტორანში ვაზნაშს ვკამდი მეგობართან, თქვენს მტერს, მე რომ იმ საღამოს, იქ სირცხვილი დამემართა: ხუთჯერ ჩაქრა ელნათურა და აინთო ხუთჯერ შუცებ, დავიბენი და შემთხვევით სხვის საინში ხელი ვტ... უცო...
შ. ილიაძე

ონკანი გვაქვს—წყალი არა

მე-31 ვაფთა სკოლაში წყალი არ არის, მოსწავლეები ხშირად გაკვეთილის დროს მეზობელ ეზოებში დადიან წყალის დასალევად.

ნახ. გ. ზედგინიძისა



მ. ზედგინიძე

ამ ჩვენს სკოლას, როგორც წესი ონკანი აქვს—წყალი არა, სწავლის ნაცვლად ეზო-ეზო რიგში ვდგევართ წარამარა.

ასე გაიგო

კიდევ იტყვიან მახლობელ კოლმეურნეობასთან კავშირი
გაწყვეტილი ვაქვსო?!



საბრძანებლო კოლეგია: ი. გრიგაშვილი, კარლო კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გრ. აბაშიძე (პ/პგ. რედაქტორი).

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 8-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1948 წ. 6/XII. ტექსტი აწუობილია ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, შუკ. № 1627. ლენინის, ქ. № 28. დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტმანქანაზე. შუკ. № 2186. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42. გამოც. № 123, ტირ. 7600 შუ 14971.

№ 23. 1948 წ.
ბაზოცემის წელი XXV
ფასი 2 მან.

ნიანში

თბილისი
ბაზოცემლოტა
„კომუნისტი“




ა. შ. 485.

ნახ. თ. შიქაძისა

სასამართლოში

Обязательный экземпляр

— ეგ მუხლი ხომ ნაკლებსაც ითვალისწინებს. რით იხელმძღვანელა მოსამართლემ, რომ შაინც და შაინც ათი წელი მიუხაჯა?
— პატიოსნებით!..



— ხედავ, ჩვენს მტკვარს ავიწროებენ, მიწას ართმევენ.
— შე კაი კაცო, მტკვარის შევიწროება რა ძალიან გიკვირს, ჩვენი რიონი ქუთაისიდან მთლად გაასახლეს უპასპორტო მოქალაქეხავით და „სალონიის“ ტყეში უკრეს თავი „რიონების“ აამუშავეო. ეს რომ მეგრელებმა გაიგეს, რიონს ფოთის თავში შეხვდნენ, დიდი ბოდიშებით ქაობებისაკენ გააპარეს „ჩვენი ქალაქიც რეუმიანი და უპასპორტოდ ვერც ჩვენ შეგინახავთ“.

ქონდრისკაცის გული

ხსრკ საქმეთა რწმუნებულმა ფინეთში ნოტა გაუგზავნა ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელშიც ფინეთის მთავრობის ყურადღებას მიაქცევს უპასუხისმგებლო ელემენტების მიერ საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო გამოსვლების შემთხვევებს, რაც მიმართულია საბჭოთა კავშირ-ფინეთის დამოკიდებულების გარდასტოვებისაკენ.

ბუნებაშიც შეხვდებით ზოგ რამეს ახირებულს. ხშირად პატარა ქონდრისკაცს თავისი აღნაგობის შესაბამისი ანატომიური დეტალები როდი გააჩნია. ნამცეცა მკერდში დიდი, მუშტისოდენა გული აქვს ჩადგმული: ეს ვეება სისხლის პარკუჭი უმეტესად ბოლომით იტენება, შურის წვენიტ ჰკვებავს თავისს მფლობელს და ქონდრისკაციც ფაფხურობს, ზომიზე მეტს ებლაუჭება, კალაპოტში ვერ თავსდება და ხშირად საკუთარი უნიათობისაგანვე ილახება.

მახსოვს, ერთი ასეთი ქონდრისკაცი თბილისის ძველ ბაზარში. კინტო ვინმე იყო, ნამცეცა და დაღლარა. მეტსახელად ქონდარუას ეძახდნენ. ცნობილი იყო შარისთავობით. დღენიდავ ვალახულს ნახავდით, ნაჩეჩვი სიფათით დადიოდა და მაინც შარსა და ბოროტს დაეძებდა: აეკვიატებოდა რომელიმე ახოვანს, შუღლის მიზეზს რომ ვერ მოუნახავდა, პირში შეუღდებოდა და აუხირდებოდა:

— არა, რითა მჯობიხარ შენ? — ედავებოდა ის ზორბა მოპირდაპირეს, — რითა მჯობიხარ? იმით რომ ჩემზე კარგი უმაწვილი ხარ? იმით, რომ ჩემზე ღონიერი ხარ? იმით, რომ ჩემზე კვიანი ხარ, მდიდარი, კეთილშობილი, ლამაზი, ნასწავლი და პატიოსანი ხარ? მე შენ ასე და ისე გიზამ, მე შენ ცხვირს მიგინაყავ, მე შენ აი, ამ ნაკურდბი ცხვირისთავისოდენა მუშტებით მიგბეგვავ!

და პატარა მუშტებს უტრიალებდა ვალიმებულ მოპირდაპირეს მანამდის, სანამ მას მოთმინებიდან არ გამოიყვანდა და თავს არ გაალახვინებდა. მერე კი — მოჰყვებოდა ყვირილს:

— მიშველე-ეთ, მცემს, მირტყამს, აქაო და ღონიერი ვარო, ზორბა ვარო, აქაო და

ვჯობივარო — მირტყამს, ცხვირპირი და მილილავა, მიშვე-ლე-ეთ!

— ქონდარუა! — ეუბნებოდნენ მას სეირის მაყურებელნი, — ქონდარუა, იყუჩე, შენს ქერქში დაეტიე და არავინ გაგლახავს, შარს ნუ ეკიდები და მშვიდად იქნები, ეგ ნამცეცა სახე დაუღილავებელი შეგჩებოა. მაგრამ ქონდარუა არ ისვენებდა. მოიშუშებდა თუ არა დაბეგვილ სიფათს, კვლავ აეკვიატებოდა ახოვან მოპირდაპირეს: — არა, რითი მჯობიხარ? იმით, რომ ჩემზე კარგი ხარ? იმით, რომ ჩემზე მდიდარი ხარ, ღონიერი, პატიოსანი, ახოვანი და ალაღმართალი ხარ? მე შენ ასე და ისე გიზამ... მე შენ... და ასე, ახალ გალახვამდე არ ისვენებდა ქონდარუა.

არიან ასეთი ქონდარუა პოლიტიკანებიც. წარმოიდგინეთ, რომ ისინი საკმაოხედაც მეტნი არიან, მაგალითად ფინეთში. აქ, ჩრდილოეთის თოვლ-ყინულითა და ბურუსით დაფენილი უთვალავი ტბების გარშემო, საერთოდ ფიზიკური ახოვანება როდია ვანთქმული, მაგრამ ტანმომცრო, შრომისმოყვარე პატიოსანი ფინელ ხალხში რატომღაც პროპორცია აურევია მკაცრ ბუნებას. ფინელი ქონდარუების ბოლომით გატენილი ანატომიური აპარატი, ეტყობა, ზომიზე მეტად მოქმედებს, მეტ სირეგვენსა, შარსა და ბალღამს გამოიმუშავენს და ანთხევიანს.

თვითონ ბრძანეთ, სხვა რა მიზეზით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ახალი ომის გამაღებელთაგან წაქეზებულ ფინელი ფაშისტების ნაშეირებს ისე დაჰკარგვიათ მეტსიერება, რომ სულ აღარ აგონდებათ არც დიდი სამამულო ომის ვაკვეთილები, არც ის „ხეირი“, რაც მათ საკუთარმა მამლაყინწო-

ბამ მოუტანა და დიდი საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ ეჭა-იქ კვლავ გაისმის მათი ქონდრისკაცური ღრენა და წკმუტუნი.


თურმე ნუ იტყვი, ფინელ ფაშისტებს გული სტკივით. ძალიან სტკივით „დიდი გული“ იმის გამო, რომ მათ საბჭოთა კავშირი ვერ გადაყლაპეს. დიდი, ძლიერი, კეთილშობილი, ვაჟკაცური ქვეყანა აღმოჩნდა საბჭოთა კავშირი და მათ კი ძალა არ ეყოთ, რომ გადაეყლაპათ ის. მათ „პიეტარი“ (ასე ეძახიან ფინელები ლენინგრადს) თავიანთ პროვინციის ქალაქად სურდათ გადაეციათ, მათ ლაღოგის ტბის აქეთ უნდოდათ მამულეები გაეჩინათ, კარელია დაესაკუთრებინათ, კრონშტადტში ფინური ნავოსნობა გაეჩაღებინათ. ჩვენში, როგორც კოლონიურ ქვეყანაში — ბატონკაცურად ჩამოსულიყვენ და მათი „სოუმის“ ნებასურვილი ეკარნახებინათ.

არ გამოუვიდათ. საბჭოთა ქვეყნის ძღვევამოსილი კალთის ერთი გადაბერტყვაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ფინელ ქონდარუას ცხვირპირი მინაყვოდა.

და აი, როცა საბჭოთა მშვიდობიანობის პოლიტიკამ ისინი იხსნა მთლიანი გასრესიანგან, როცა მათ ცოტათი სული მოითქვეს და დალილავებული სიფათი მოიშუშეს — კვლავ შემდგარან ფენის ცერებზე და გოლიათს სურთ შეჰკადრონ: — რით მჯობიხარ შენ? იმით, რომ ძლიერი და პატიოსანი ხარ? იმით, რომ მაღალსულოვანი ხარ? მართალი და მშვიდობისმოყვარე ხარ?

რაკი ფინელი ხალხის ოჯახში ასეთი „ქონდარუები“ ისევ აფაფხურდნენ, სჩანს, მათ სიფათის დალილავება კვლავ მოსწყურებიათ.

ფარსადანი



ექიმ ჩაჩხიანის ეზოში სასწრაფო დახმარების მანქანა შემოგრილდა. მეზობლები დაფეთებული გამოცვივდნენ და თანაგრძობით მიაჩერდნენ შოფრის კაბინიდან გადმოსულ ექიმს.

ექიმს მხიარულად უღაქმობდა სახე და მისი გამომეტყველება სრულიად არ შეეფერებოდა სასწრაფო დახმარების მანქანის მოსვლით მეზობლების სახეზე გამოხატულ სერიოზულობას.


მანქანის კარი გააღეს. შოფერმა და ექიმმა ფრთხილად იწყეს საკაცის გადმოტანა. მეზობლები გაფაციცებით უყურებდნენ.

— ცოცხალია?

— ამოდენა გზას როგორ გადურჩა?

ჩუქრულთ კითხულობდნენ ის მეზობლები, რომლებმაც იცოდნენ, რომ რამდენიმე დღის წინ ექიმმა ჩაჩხიანმა ტელეგრაფით მიიღო ლაილაშიდან სიდედრის ავადმყოფობაზე. მიიღო და სიძე რის სიძეა, თუ სასწრაფოდ არ აღმოუჩინეს დახმარებას სიდედრს!

ა/კ. რკინიგზის საავადმყოფოს „სასწრაფო დახმარების“ მანქანით გაჭურჭლავ სიძემ თბილისიდან ლაილაშისკენ, არც გზის სიშორეს შეუშინდა, არც ამინდსა და ცუდ გზას და ავტო, მშვიდობიანად დაბრუნდა შინ.



მაგრამ მეზობლები თვალს არ უჯერებენ: სასწრაფო დახმარების მანქანის საკაცებზე ჩაჩხიანის ავადმყოფი სიდედრის მაგივრად უშველებელი, ღვინით სავსე რუმბი წევს!

ექიმმა და შოფერმა მძიმედ დაასვენეს ძირს საკაცე, რომელზედაც წყალმანქიანი კაცივით გასიებული რუმბი თანთალებდა.

მეორე საკაცით ხუთფუთიანი ღორი გადმოსვენეს, უკვე ნაოპერაციები, მუცელგაფატრული და გასუფთავებული.

ლორს ქათმები და ინდაურები მოჰყვენენ, რუმბს ტიკპორობი და არყით სავსე ბოცები და ჩაჩხიანის სახლი სინარულით აავსეს „სასწრაფო დახმარების“ უცნაურმა პაციენტებმა.

რამდენიმე დღეს პარიარაღე ისმოდა ჩაჩხიანის სახლში. შესანიშნავ ლეჩხუმურ ღვინოს სვამდნენ ლაილაშელი სიდედრის სადღეგრძელოდ და არც ა/კ. რკინიგზის საავადმყოფოს სასწრაფო დახმარების მანქანის მზრუნველებს ივიწყებდნენ.

მანქანა კი თვითონ ელოდა სასწრაფო დახმარებას, ლერძები დამტვრეოდა და წელს ველარ იღებდა. ხუმრობა ხომ არ იყო ასეული კილომეტრის გარბენა ლაილაშამდე, სალ-სალამათი სიდედრის მონახულება და უკან, ამოდენა დოვლათით გამობრუნება! კარგ კაცს მანქანას კი არა, თავს ანაცვალდებენ რკინიგზის საავადმყოფოში! აქ კარგად ესმით „სასწრაფო დახმარების“ მნიშვნელობა. საავადმყოფოს თანამშრომელ ექიმს კარზე თოვლი ადგას, წინ გრძელი და ცივი ზამთარია, ზამთრის სარჩო ხომ უნდა მოიმარაგოს და როდისღა იქნება ამაზე მეტად საჭირო „სასწრაფო დახმარება“?!

დღე, აქვე, თბილისშივე დასჭირდეს „სასწრაფო დახმარება“ ვინმე რკინიგზელს, მოითმინოს, გამაგრდეს, ლაილაშიდან ექიმი ჩაჩხიანი დაბრუნდება, გატეხილ მანქანას შეაკეთებენ და...

ამასობაში ძმა-ბიჭებსაც აღმოუჩინენ სასწრაფო დახმარებას ა/კ. რკინიგზის საავადმყოფოდან.

გულთბალი მაღლობა ამერიკაჟიკის რკინიგზებზე ხამართველს ქუთაისელი შოფრებისაგან იმისათვის, რომ ქუთაისიდან ხოხუმს მიმავალი მგზავრებს სადგურ რიონში მისაყვანად მატარებელი მატარებელი არ არის დანიშნული. მატარებელი ქუთაისი რიონი გადის ქუთაისიდან სადამოს 5 საათზე, ხოხუმის მატარებელი კი რიონიდან გადის ღამის 2 საათზე. ასე რომ მგზავრებს უხდებოთ დაახლოებით 7-8 საათი სუფთა ჰაერზე ლოდინი.

რა შუაშია აქ შოფრების მაღლობა, იტყვიან აი რა შუაშია: ქუთაისელი მოქალაქეები, რომელთაც არ სურთ 7-8 საათი სადგურ რიონის ზაქანზე ხეინობა, იძულებული არიან ღამის 12 ან 1-ლ საათზე დასნდნენ „ხალტურა“ მანქანებზე და მიუსწრონ ხოხუმში მიმავალ მატარებელს.

რა თქმა უნდა, სადგურ ქუთაისისათვის უადვილებს საქმეა გააკეთებინოს ერთი დამატებითი რეისი მატარებელს ქუთაისი-რიონი, რათა ხოხუმში მიმავალი მგზავრები სადგურ რიონში მიიყვანოს არა 7-8 საათით, არამედ 1 ან 2 საათით ადრე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ქუთაისელი შოფრები მაღლობის მაგივრად წყველა-კრულავს გაუგზავნიან დიხმეტრებებს...

უღრმესი მაღლობა უზღვიდელი შეეტლებებისაგან ადგილობრივი ავტოტრანსის მუშაკებს შემდეგისა გამო: მატარებელი თბილისი-ხოხუმში უზღვიდის სადგურში მოდის დილის 6 საათზე. ამ დროისათვის ავტოტრანსის მანქანას სადგურ უზღვიდის მახლობლად სიზარშიც კი ვერ ნახავთ, სამაგიეროდ მზად არიან მგზავრთა მომხატურებისათვის მეტრეები, რომლებსაც გადაჰყავთ ისინი სადგურადან-ქალაქში მათთვის (მეტრეებისათვის) ხელისმისაწვდომ ფასებში. საერთოდ ავტობუსს ვერ შეხვდებით სადამო ხანებშიც, როცა ხაჭირაა ამ მოქალაქეთა გადაყვანა ქალაქიდან სადგურამდე. რომლებიც უზღვიდლიდან თბილისში მიემგზავრებიან.

მაღლობის ღირსი არიან თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო მოხალაპარაკებელი სადგურის მუშაკები იმის გამო, რომ ხამი დავალებიდან ერთს მაინც აუცილებლად ჩააბარებენ ტელეფონთან გამაქმებულ აბონენტს და მხოლოდ ორი დავალება დაეკარგება უგზო-უკვლოდ. ასე მოხდა, მაგალითად, 25, 26 და 27 ნოემბერს, როცა სატელეფონო სადგურში ჩაბარებულ იქნა დავალება უზღვიდში მცხოვრებ მოქ. ვ-ქმსთან სალაპარაკოდ, ხოლო დავალება უზღვიდში არავის ჩაუბარებია დანიშნულებისამებრ. სამაგიეროდ უზღვიდის საქალაქთაშორისო სადგურში ორი დავალება იქნა მიღებული აღნიშნული მოქალაქისაგან, რათა დალაპარაკებოდა თბილისში მოქ. ქ-ს, მაგრამ არც ეს დავალებები ჩაუბარებიათ ამ უკანასკნელისათვის. მართალია, ამის შედეგად არავითარ დიდმნიშვნელოვან მოვლენებს და ძვრებს ადგილი არ ჰქონია, მაგრამ მაინც კადვე გულწრფელი მაღლობა არა მარტო თბილისის, არამედ უზღვიდის საქალაქთაშორისო სადგურების მუშაკებსაც.

უჩინ-მარინი

როგორი საშვრობალოში

„ბრმა ნაწლავის სუიდა“

ერთმა ახალგაზრდა კომპოზიტორმა ამერიკაში დასწერა მუსიკალური ნაწარმოები „კლინიკა“. ამერიკული გაზეთის ცნობით, ავტორი თურმე ამ „სუიტაში“ მუსიკის ერთი გადმოსცემს ბრმა ნაწლავის ამოჭრის პროცესს.

ავტორის აზრით, „სუიტის“ შესავლის ნაზი ხმოვანებით სიმფონიური ორკესტრი აღწერს პაციენტის გადაყვანას საავადმყოფოს პალატიდან საოპერაციო ოთახში.

ამას მოსდევს აჩქარებული ტემპით შესრულებული „ეთეროვანი ფანტაზია“, რაც გამოხატავს ავადმყოფის დაძინებას ეთერით. ალერგოს ტემპიანი აჩქარებული მელოდია გადმოსცემს ქირურგის მიერ მუცლის ღრუს გაკვეთას, ხოლო მქუხარე ფურჩოლო—ბრმა ნაწლავის ამოჭრას.

მოკლე სკერცოში ავტორი ქება-დიდებას ასხამს სიცოცხლის მომხიბველობას, რომელსაც კვლავ შეიგრძნობს გადარჩენილი ავადმყოფი.

ძურღების კლუბი

ინგლისური გაზეთის ცნობით, პოლიციამ აღმოაჩინა კლუბი, რომლის მცირეწლოვანი წევრები (15-16 წლის ბიჭები) „მუშაობდნენ“ და „სპეციალისტებოდნენ“ ქალების ხელჩანთების ქურდობაში. ერთ მოწაფეს აღმოაჩინდა ამ ქურდთა კლუბის ინსტრუქცია, რომელშიაც სწერია: „ქალის ხელჩანთის, ან საფულეს ქურდი თავისი იტოვებს ნაჭურდალის მხოლოდ 40 პროცენტს, ხოლო დანარჩენს უყოფს კლუბის წევრებს“.

პატიმრობის არჩევა

ამერიკელ მოქალაქეს, ვინმე უოლტერ სიუარდს 22 წლის წინათ სასამართლომ მუდმივი პატიმრობა მიუსაჯა. პატიმარი ამ ხნის განმავლობაში განუწყვეტლად ასაჩივრებდა სასამართლოს დადგენილებას და როგორც იყო, ბოლოს, ეღირსა შეწყნარებას. ციხიდან გამოსული სიუარდი განაცვიფრა სურსათ-სანოვან-საოცრად მალაღმა ფასებმა. დაარწმუნდა რა, რომ ვერ შესძლებდა საქმლის ფულის შოვნასაც კი, განთავისუფლებულმა უკანე, ციხეში დაბრუნება სთხოვა ადგილობრივ ხელისუფლებას.

ნახ. ა. კანდელიძის



მიზეზი და უარი
— ქმარს მიღმა გავყავარო, ეჭვს წელმწაფა ბაშურ-
შია წახული და წერილსაც არა შერსა.
— ვერ გავყვითო, ბაშურსა წახული საკმაო მიზეზი
არ არის განმარტარებხათხათისი..



არმნივი ინტერესი
— საღ დახიარვა თქვენს მიერ გაფლანგული თანხის
უკანასკნელი ნაწილი?
— იც შეც მანდერებს... თანხის უკანასკნელი ნა-
წილი ადვილად ნაწილი.
როელი დავალება
ზოგჯერ სიბნელოში დადგინა-
ლები უცილობის ხელი იჭრება.
— ვადაი, ვადაი... სიბნელო გავაგონო...
— ზღაღღას გავაგონო... აი, ამ დადგინა-
ლებს შინაშეს თუ გავაგონო...
ნივთიერი საბუთი
— თქვენ უჩველი შემთხვევს, თითქმის მან ფესხა-
მელი მოგპარაო... დასაბუთებლად გავქეთ რაზე ნივ-
თიერი საბუთი?
— ნივთიერი საბუთი მან ხანაშართლის გზაზე გაც-
ვითაო, თქვენ ხომ შეეცხვით გადაღეთ ჩვენი საქმის
გარჩევა?



მეორე სტატია
— რომელი სტატიათ ხანაშართლები?
— გაწვითი რომ სტატია იყო, მაგის ბორკომკომუნებზე.

მე და ჩემი

როცა მეგობარმა პოეტმა „მოსკვირი“ იყიდა მეც ვადაწყვი-
ტე მისი შექმნა. დიარ დამოუფრებია, შეუძინე „მოსკვირი“, ავსუვა-
ნე შოფერი და დაიწყო ნაიარით. დავყოლიდი სათავე მიწოდე და
როცა მიწიდა. ამ დღიდან დაიწყო გრძელ ჩემი განვითარება
საბუთოპობილი მეტყველების დარგში. ვიყიდე, მაგრამ მალე შეე-
ნიშნე, რომ ეს პატიანი, დღეოვალსაგები კობტა მანქანა, დღეში
ოცი ლიტრა ბენზინს მიირჩებოდა. მე, ლეონის მოყვარულ კაცს, მთელ
ჩემს სიცოცხლეში იმდენი ლიტრი ღვირი არ დამიღვიდა, რამდენიც
მან ეჭვს თვეში ბენზინს შესვა.

საბუთოპობილი საქმის შეცვლიერება იმის შემსაწყაულა, თუ რო-
მელი მანქანა რამდენ ბენზინს ხარჯავს. „მოსკვირმა“ ას კლომეტრ-
ზე ითი ლიტრი ბენზინს უნდა დახარჯოს. ის კი დღეში ოც
ლიტრს ნიჟავდა. მე ბიჭვი-ბიჭვი დღეში ოცი კილომეტრი მემო-
გზაურა. კარგად ვიცი, რომ შოფერების მუშაობაში „ხალტურა“
არსებობდა. გავიფიქრე, თუ კი მწერლობაში „ხალტურა“ ვერძევი,
შოფერების ხალტურას რატომ არ უნდა ვებრძოლო მეუთე. და აი,
პირველი ნახიტი გადავიღე. ერთიელ შოფერს გამოამცდელი კაიო-
ნი შევეციოთ:

— კალსტრატე, გავაგებინე, რატომ იხარჯება ამდენი ბენზინი?
— იმიტომ, რომ თქვენი მეგობრები სულ შვიგ სხედან. მანქანის
წერაგის ათხოვეთი და ბენზინიც ცოტა დახიარჯავენ... წყარობის
მიასუსხა კალსტრატე.
ჩაიფიქრე მისმა მასსხებმა. მართლაც ნაცნობ- მეგობრები ხში-
რად სარტეგლობდნენ ჩემი მანქანით. გადაწყვიტე ყველას უარი
ფთხობა, თითი უხალხის მეგობარსაც კი.
მეორე დღის ჩვეულებრივად ჩვეულოვნის ხაზი რეკავს.
— ესმითთა!— გამოვიხსნარე.
— შენ გენაცვალე, უარი არ მითხრა, ამ დღის მანქანა მათ-
ხოვე.

მე მაშინვე ცვალი ვუხსნებუ:
— მანქანა თერთმეტ საათზე გავა სახლიდან...
— რატომ თერთმეტზე... განცვიფრებთი შეგვითხრა...— მატარე-
ბელი ხომ არ არის, რომ დღეში უფრო საათები ჰქონდეს?
— მატარებელი არ არის, მაგრამ თერთმეტ საათზე ვაპირე
წასვლას და შენც თან წავიყვანდი. ოღონდ ესეც მიითხრა, საით
მიდიხარ?
— სადღერსიკავან.
— არა, ჩემო მამო, ჩემი „მოსკვირი“ სადღერსიკავან არ მიდის.
— კი მაგრამ, ეც შენი „მოსკვირი“ ტროლეიბუსი ხომ არ არის,
ერთი ვარკვეული მიმართულება ჰქონდეს!—— მანასუსხა მან.
— არა, რომ არ შეგაწყნობო, უფრო ვთხოვრებ. ემას შენცვე მე-
თე თვე მანქანა აღიარებოთის მიზითოვებია, მაგრამ ბენზინის ხარჯ-
ვას მიიხეც ათოვერი ეწეულა.

„მოსკვირი“

ერთობლ ბანკეტოდან გბრუნდებოდი. საცმოდ ბეჭვი კახური
შეცვლი და შეხარბოშებული გახლდით.

შუღამე ვადაული იყო. ბნელოდა. ჩემს წინ მანქანამ წელა ჩა-
დაია. შეეცხებე და გავაგებრე. ჩავეტე. მოკლედი ვეობარია:— თერთმეტსა-
რეულიანი სახლი! ხუთი წუთის შემდეგ ჩემი სახლის წინ გაეწიდა. მან-
ქანიდან გავიღვიდე, კვირიდან ოცდახუთმინეთიანი ამოვლედი და მი-
ვიცი. შოფერმა მხამოვლედი გამოართვა და გაიქროლა. ვაი-
ვირდა. რატომ მადლობა მიანიც არ მიიხარა მეუთე და მანქანას თვა-
ლი გავაყუდე. ნიშეტი რომ დავინახე, სახლად დავბრ. ის ხომ ჩემი
„მოსკვირი“ იყო! — „55—55“. აბა, როგორ შეეშლებოდა.

— კალსტრატე, კალსტრატე!— მივაძებე, მაგრამ გვიან იყო.
წამოვიღვიდეათ ასეთი აბნაღლ აღდება! ჩემსავე მანქანაში,
ეგმა შოფერმა „ხალტურა გამოვიკეთა“.

მეორე დღეს შოფერს უყვებდი ვეობარია:
— კალსტრატე, რას ჰგავდა შენი წუხსნელი საკეცილიო?
— რა საკეცილიო!— გაიკვირა მან.
— შინ მოყვანაში ფული რომ გამოიმართავ!
— რას ბრძანებთ. თუ ლეკვე ვეობლიაც ვი მიზახხიხართ. საიდან
მოილოდიოთ!

— საიდან და ბანკეტოდან მოვიდიოდი. ჩემის თვალთი დავინახე
თათი ხუთიანი უკანა ამბოხე.
— ლეონის თვისებაც ეც არას... დიმილით შიმიოვი კალსტრატე-
ტე... ამოღენა კაცი ვერ დამინახეთ და ცეროდენა ციფრები შე-
ნიშნითი ალბათ ნისეგები ბრძანდებოლით. შეგშლიათ.
რალა მეუთეოდა, გავაგებდი. გადაწყვიტე შოფერისათვის სხვა-
ხიარლ გადაიხმება. გადაწყვიტე მანქანის მართვა თითონი მესწყა-
ლა. ასეც მოვიქციე. დღეშივე სწავლა. როგორც სწავს კალსტრატე
მიზიხება განზრახვას, სულ გავაგებრებუდი მეუობარეკიოდა.
როგორც მანქანის მართვა ვისწავლე, საქმე მივეფიქრე, კალს-
ტრატე გვერდზე მოვიციედი და რესპაგელის პრისიგეტზე გავაქროლე.
სწავლიდი მთელიდღედი ტროლეობად ქალიშვილმა ვაიმიობი-
ნი და შვიგ მანქანის ბორბლებში მივიქციედი, კალსტრატე რომ არ
დადამბრებოდა. ის ზოგჯერ შოფერითი ხიხის გაცუტვლას მიგე-
ვლიდი არ იყო. უკმათ საქმე ზღვი ტრეკე, შეუბრიალი და მამართე-
ლებს შეუცვალა. ქალიშვილი ვადაარბია, მაგრამ ვიი რომ ჩემი
„მოსკვირი“ ვერ ვადაარბია. იქვე მომავალ ტროლეობის ხულოვანივით
შეცხებე და ვადაარბიდა. ჩემე არაფერი დავგაგებია, მაგრამ მანქან-
ის ძრავი გაუტვდა, ცალი ფრთა დავგაგებია. ახლა სდვას ჩემი „მოს-
კვირი“ ფრთამტებელი არვიფივით და შეეციოთას ელის.
ელენახა ზამინიძე



სასურველი პროცესი
— ამ ბრალდებულს რომელი მუხლებით სჯიან?
— რომელი მუხლებით, არ ვიცი, მუხლებს განი-
კის სჯიან, მოთამაშეს რომ დააბეჭტია უცხოურთის მატ-
არისობს!



დაცვერიების დაცვერიება
— ხომ გავით დავცვერიებთ, რომ მანხვან აღიხი-
ტი მიკუვნითი, რალა ვინდათ!
— შე შინდა ახალი დაცვერიება იმას შესახებ,
რომ შენ დაგინახედი ავტოვანიდა უნდა შესიკვლეს.

1. ლუდი ისე დაასხი, არც ჭიქა აივსოს, არც ძეღუდე დაივსოსო.
2. გამგეს ინსპექტორი სმულდა, გამყიდველს ორივეო.
3. ნოქარმა თქვა: გამგემ გამთალა, ინსპექტორმა გამფხიკაო.
4. ჰატარა მადასიაში დიდი ხალტურა. განა არ შეიძლებაო?
5. გამგე ტრამვაიმ გაიტანა, გამყიდველმა ღრიალი მორთო:—ახალ გამგეს როდისდა გამოვაძლებო?
6. გამყიდველსა ჰკითხეს: წონაში რად აკლებო და ხურდაში რომ დავაკლო, განა მოლარე ვარო?
7. სასადილოს გამგე მომმარაკებლად გადაიყვანეს და ღმერთმა მაგისტანა დაქვეითება ნუ მომაკლასო!

შეკრიბა ვ. შალაშვილი



— რა დაემართა ამ ჩვენს დირექტორს ენა რომ ეხმება, თავის დაწერილს ველარ კითხულობს?!

— საქმეც მაგაშია, რომ თავისას კარგად კითხულობს, მაგრამ ხვების მიერ დაწერილ მოხსენებას კი ვერ არჩევს!

თანამდებობას მიხედა

ნახ. ვ. თომეშვილისა



— ჩვენი უფროსი სათბობის მოტანაზე რომ არ ზრუნავს, თვითონ მაინც არ ხცევია?
 — ის იხეც თბილ ადგილზე ზის, რა შეაცივებს?

მე და „პიგინა“

სამუშაოზე დამტვერიანებულმა დაბანა გადაწყვეტიტე და ჩემს სიხარულს ყველა საზღვრები წაეშალა, როცა მითხრეს, რომ ამისათვის ხარფუხისკენ გაქცევა საჭირო არ იყო და აქვე, „პიგინაში“ მოწყობილ შხაპებით შემეძლო მესიამოვნა.

ფული გადავიხადე და შევედი.

ჩემი სიამოვნება რიგში დგომით დაიწყო: ყველა შხაპი დაკავებული აღმოჩნდა და ნახევარ საათს ვიყურე.

ჩემს გვერდით, შხაპის ქვეშ მდგომმა კაცმა დაიწყო:

— ბავშვობიდან ზღვის პირას ვცხოვრობდი და ამ ოხერ თბილ წყალს ველარ ვეგუები!

— ბედნიერი კაცი ყოფილხარო, — ვუპასუხე მეზობელს, — მეც რომ ასე ვიყო, მტკვარი სათავეიდან შესართავამდე უფასოა!

ცივის მოყვარულმა შხაპის მარეგულირებელს ხელი მოჰკიდა, მიატრიალ-მოატრიალა და ჩემმა კივილმა მეორე სართულზე გასაპარსად მსხდომი ხალხიც კი ააფორიაქა. (ეს მე რე შევიტყუე). ამ შხაპების რეგულირება თურმე ორიგინალურად ხდება: თუ ერთ შხაპში ცხელი წყალი შესწყვიტე, მეორე შხაპში გაინავარდებს და ვაი მის ქვეშ მდგომის ბრალი! მდულარე წყალმა ორკეცი ტყავი გადამაძრო მარჯვენა მხარზე!

ჩემს კივილზე შეაბანოვე შემოვიდა და უცებ მოახდინა წყლის რეგულაცია. შხაპს სულ აღარ მივეყარებოდი, მაგრამ საპნის მოცილება აუცილებლად ჩავთვალე და კვლავ ვავწირე თავი.

ორი წუთის შემდეგ, ჩემს მეორე მხარზე კვლავ მდულარე აჩქეფდა და ხუთი წუთის წინანდელი სცენა მხოლოდ გენერალურ რეპეტიციად მომეჩვენა...


გარეთ გამოვედი. ისეც დამწვარ-დადავულს მხრებზე ალმური ამდიოდა. შეშლილივით ვბორავადი, ხან ერთ მხარს დავწყვედი დაბლა, ხან მეორეს, ვცმუკავდი, ცრემლს ვიკავებდი და ტუჩებზე სიმწრის ღიმილი მეკერა.

როცა ბორჯვა გამიგროძელდებოდა, ფოქსტროტის ტაქტს დავალიღინებდი სოლმე და ჩემს ვაჭირვებას ზედ ვაყოლებდი.

რუსთაველის პროსპექტზე მოსეირნე ხალხი ამედევნა. ვცდილობდი ყურადღება არ მიმექცია, მაგრამ როცა ცნობისმოყვარეებმა წინიდანაც მომიარეს და გზა გადამიკეტეს, ხერხს მივმართე, ტროლეიბუსს მივაშურე. მაგრამ წარმოგიდგენიათ დამჯდარი კაცის ცეკვა? ახლო მჯდომები წამოიშალნენ და სხვა ადგილებს მიაშურეს. რაღაცას ჩურჩულდნენ, მილიციასა და ფსიქიატრულ საავადმყოფოს ახსენებდნენ, მაგრამ მათთვის ყურის გდების თავი სად მქონდა, ჩემი ვაჭირვება მაწუხებდა.

ტროლეიბუსი რომ გაჩერდა და ძირს ჩამოვედი, კვლავ ხერხი ვიხმარე: გადარბენაში მონაწილესავით მოგვურცხლე სახლისაკენ. ხალხს ჩემი სიბიბილიც გაუკვირდა, მაგრამ იმდენი ყურადღება აღარ მიუქცევია.


ასეთი დღე დამაყენა „პიგინაში“.



გთხოვთ მიცნობდეთ:

იქაური ვარ, სადაც დავი-
ბადე. 9.005 დილა-სალამოს შეეს-
წრებივარ ჩემს სიცოცხლეში. უკა-
ნასკნელ ხანებში კი ამ დილა-სა-
ლამოებს გარე-კახეთის გულში—სა-
გარეჯოში ვატარებ.

რატომღაც ისე მოეწყო ჩემი
ცხოვრება... პირდაპირ გეტყვით,
ჯერ დასანიშნი ყმაწვილი ვახლა-
ვართ. მაგრამ მარტოხელად ყოფნა
იმას ხომ არ ნიშნავს, რომ შენი



თავი ყოველგვარი ზრუნვის გა-
რეშე დააყენო. ადამიანისათვის
ყველაფერია საჭირო—მუშაობაც,
დასვენებაც, სეირნობაც და ტოლ-
სწორებაში თავის მოწონებაც და,
მიუხედავად, დასანიშნი ბიჭი მუ-
დამ თავს იწონებს, რომ იტყვიან
მწვანე კიტრივით.

მე განსაკუთრებით მიყვარს,
როცა ტანზე მაცვია სუფთა და
გაწკეპილი სამოსელი.
რამდენიმე ხნის წინ შევიარე
სასოფლო მალაზიაში.

—გთხოვთ, საპონი მომცეთ.

—დიდი სიამოვნებით!
საპონთან ერთად ნაირფერი
ცელულოიდის თმის დასამაგრებ-
ლები, ქალის ჭრელი ლილეები გად-
მოცოცდნენ დახლზე და დამცინა-
ვად გამიცინეს—წაგვიყვანე, წაგვი-
ყვანე, როდემდის გინდა თავი
ავგარიდო.

—ეს დავესკაა, ამხანაგო!—გან-
მიმარტა გამყიდველმა და „ჩოთ-
ქში“ ჩავიდა: საპონი—4 მანეთი,
„შპილკები“—4 მანეთი, ლილეები—
2 მანეთი.

შემომეჩვივნენ თმის დასამაგრე-
ბლები და ლილეები (მაღლე მძიფე-
ბიც გამიჩინდება ალბათ). მერე რა
ჭრელები და ლამაზები არიან! ახ-
ლა ჩემს ოთახში მთელი კოლექცია
მაქვს ქალის მოსართავეებისა. მეტი
გზა აღარ დამრჩენია—გადავწყვიტე
შევირთო ცოლი (ნეტავი პირველი
შვილიც ქალი იყოს, მასაც ეყოფა
ამდენი „დავესკა“).

იქნებ სთქვამთ, რა ჩვენი საქ-
მეა შენ თუ ცოლის შერთვა გა-
დასწყვიტეო. მართალია, მაგრამ
მე მინდა ახლავე გადაფრთხილოთ,
რომ თუ ჩემს ქორწილში. დამე-
წვევით, საჩუქრად აღარ მომიტა-
ნოთ ქალის მოსართავეები.

გოლა გარეჯული

ზემო-ალვანის გვენივით

პატივცემულო ნიანგო!

თქვენი ბასრი მზერა მინდა მი-
მართოთ სოფელ ზემო-ალვანისა-
კენ, რომელიც ერთ-ერთი მოზრ-
დილი სოფელია ახმეტის რაიონში.
მოგებსენებათ ადამიანურ მოთ-
ხოვნილებათა შორის, წყურვილი
მეტად უწყინარი სურვილთაგანია,
მაგრამ ზემო-ალვანში რომ ჩახვი-



დეთ, წყალი არ უნდა მოიწყუროთ.
აი რატომ:

ძველი, პასაკვადასული წყარო
მოაშალა. ეს ჩვენმა კომგაულებ-
მაც დაინახეს და ახალი მილები
მოიტანეს. ჯერ მალაზიის ეზოში
გამოჭინეს და როცა დარწმუნ-
დნენ, რომ ადგილობრივი მოსახ-

ლეობა გაძლა ახალი მილების ცქე-
რით, აიღეს და მილების გარკვეუ-
ლი რაოდენობა ახმეტას ასესხეს
უთამასუქოდ. რაც დარჩა, ისიც
მაღლე ალბათ არქეოლოგიური ძიე-
ბის საგანი გახდება; მიწა და ბა-
ლახი დაფარავს.

ჯერჯერობით კი, ზემო-ალვა-
ნის მშვიდობისმოყვარე და უთავ-
ბოლობის მოძულე მოსახლეობა
იძულებულია ალაზნის მდვრიე ნა-
კადიდან შესვას თავისი უღარდე-
ლი საბჭოს თავმჯდომარის სადღე-
გრძელო.

გაზაფხულზე სკოლის შენობის
დაწყებული საძირკველი თოვლის
მოლოდინში ძაგდაგებს. იქნება თქვე-
ნი თქმის შემდეგ მაინც დარწმუნ-
დეს, პატივცემულო ნიანგო, ზემო-
ალვანის საბჭოს თავმჯდომარე, რომ
სასმელი წყალი აუცილებელია სოფ-
ლისათვის ისევე, როგორც აუცი-
ლებელია დაწყებული სკოლის შე-
ნობის დამთავრება.

3. 5.

მატარებელი რომ გასცდებოდა
სად. ხაზურს და სურამისაკენ გა-
დაუხვევს, დაკვირვებული თვალი
მაღლე შეამჩნევს ისტორიული სურა-
მის ციხის აღმოსავლეთით აგურის
ახალ შენობას. ეს ნაგებობა, რომ-
ელიც უკანასკნელ 10-15 წლის
მანძილზე სურამში შენდება, გახ-
ლავთ სკოლისათვის განკუთვნილი
ორსართულიანი შენობა. თერთმე-
ტი წელიწადია, რაც შენდება და
მაინც ვერ აშენდა.

შეიძლება მკითხველმა იფიქროს,
ალბათ ეს შენობაც სურამის ზღა-
პრულ ციხესავით შენდება, ირღვევა
და კვლავ განაგრძობენ შენებასო?
მაგრამ ეს ასე არ არის. თვით
მშენებლები აგვიანებენ მას. რა

ქვან სურამელმა ბავშვებმა, რომ-
მელთაც სულით და გულით სწა-
ლიათ ელირსონ ახალ კეთილმო-
წყობილ სკოლის კარების შეღებვას?



ხომ არ უტდიან სკოლის მშე-
ნებლობის ხელმძღვანელები შენო-
ბის კედლებში სკოლის აგების გამ-
კიანურებლის ჩატანებას?

არ. ღამ-ნი

საგურამოს გზაზე

საგურამოს გზა ძლიერ დაზიანებულია; სოფსაბჭოს
თავმჯდომარე არ ზრუნავს მის შესაკეთებლად.

საგურამოსკენ წავედი, დავიჭირავე მანქანა,
ფიქრობდი მოვინახულებ ბებიასა და ამხანაგთ.
მცხეთიდან ჩვენი სოფლისკენ შოფერმა გამოგვაქანა,
მაგრამ რას ვხედავ—უფერად შეჩერდა ავტომანქანა.
წინ ჭვის და ღორღის გორაა, უკან ვეება ხევი,
ველარც წინ მიდის მანქანა, ვერც უკან დაუხვევია.
ბევრი ვეწამეთ, ვეწვალეთ, მაგრამ არ იქნა საშველი;
იმ ღამეს იქ გავათენეთ, არ მოგვიკითხავს საკმელი.
მეორე დილას, მანქანა გამოვიტანეთ ხარებით
და თბილისისკენ დავბრუნდი ნაწყენი. გაუზარებია.

თეიმისპირალი

ქაჭრათის აბანოსთან

კაჭრეთის ახალ აბანოში ხშირად სწყდება თბილი.
წყალი და მობანავეებს უხდებათ საათობით ლოდინი
ქვების ახლად გახურებამდე.

ნახ. ი. ბეგაშვილისა



— გოგა, როგორც ჩვენი, ისე წყლისაც კახური არაყო
რება რომ შეიძლება დღეს, მაშინ ჩვენს აბანოზე მომდურავი არა-
ვინ იქნებოდა!



— ხაკვირველია! შენი ბრიგადა ახე რატომ ჩამორჩა?
— ნეტავ მატარებელზე არ ჩამოვრჩენილიყავი, ხუფრას ველარ მივუსწრებ, თორემ მაგათ ჩამორჩენას კიდევ ეშველება!

აშაიკუელი კონგრესგები


ანუ

ნახ. მ ვაღბოლსკისა



უფუღაბონი

მილიონობით ზანგები და უმუშევრები მოკლებული არიან ყოველგვარ უფლებას.



უფლავაგონილინი

ყოფილი მანვტერი ალკაპონე ამჟამად ყოვლისშემძლე მილიარდერია.

საბრძანებლო კომისია: ი. ზრიზაშვილი, კარლო კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გრ. აბაშიძე (პ/გ. რედაქტორი).
თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკიი ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 8-10-49.

ბელმოწ. დასაბ. 1948 წ. 22/XII. ტექსტი აწვობილია ლ. პ. ზერიას საბ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, შტკ. № 1697. ლენინის, ქ. № 28. დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტმანქანაზე. შტკ. № 2315. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42. გამოც. № 125, ტირ. 7600 შუ 14994.